№ 115 3 თიბათვე, კვირა 1866—1879 3 თიბათვე, კვირა № 115

# დროება

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთისფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარწლისა—5 მ ნ., სამისთვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: ღელ-ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ.; ჩვეულებრივის ცისეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრამმები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურლი, 31 მაისს. სახელმწიფო ბანკი აცხადებს, რომ ვინც მესამე აღმოსავლეთის სესხის 10,000 მანეთზე მოაწერა ხელი, ისინი სრულიად მიიღებენ ამ ჯამს ობლიგაციებისას; ვინც 10,000 მანეთის მეტზე მოაწერა, ისინი მიიღებენ 10,000 მანეთის ობლიგაციებს და რაც მეტია, იმისას კი 33% ნაწილს.

პეტერბურლის ბირჟა, 2 ივნისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 95—87 |
| მეორე— — — — — | 95—25 |
| მესამესი — — — — | 95—12 |
| მეოთხესი — — — — | 95—12 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92—87 |
| აღმოსავლეთის მეორე— | 94— „ |
| აღმოსავლეთის, მესამე— | „— „ |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი— | 8—48 |
| ტფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — | 94—93 |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 242—50 |
| მეორე სესხის — — — | 238—25 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 23—70 | პენსი |
| ამსტერდამი— — | 119—50 | ცენტი |
| ბერლინი— — — | 200—75 | პფენიგი |
| პარიჟი — — — | 248—75 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი | — „ — „ | |

## საქართველო

### გორის სამასწავლებლო სემინარიის ახლად კურს-შესრულებულებს.

დღეს თქვენ ათავებთ სწავლას და იწყებთ იმ დიდი თანამდებობის, დიდი მოვალეობის შესრულებას, რომლისთვისაც სიყრმიდამვე ემზადებოდით. დღეს სტოვებთ თქვენ სასწავლებლის სკამს და ცხოვრების ასპარეზზედ გამოდიხართ.

ნამდვილი ეგზამენი, ნამდვილი განსაცდელი თქვენ ჯერ არ გქონიათ: ნამდვილი განსაცდელი თქვენი იწყება იმ ჟამიდამ, რა ჟამსაც თქვენ შესდგამთ ცხოვრებაში ფეხსა და დაიწყებთ თქვენი წმინდა მოვალეობის აღსრულებას.

ეს თქვენი მოვალეობა ძნელია, მძიმეა. არ გეგონოთ, ამ მოვალეობას მარტო ის შეადგენდეს, რომ თქვენ ანა-ბანა და წერა-კითხვა ასწავლოთ ჩვენ მოზარდ ახალგაზდობას. არა.

თქვენ წახვალთ სოფელში—განსაკუთრებით იმათ მოემართავე თქვენგანს, რომელნიც სოფლებში წავლენ,—თქვენ წახვალთ სოფელში, და რა დაგხვდებათ იქ? ქვეყანა მდიდარი, ბუნება უხვი, თითქმის ხელ-უხლებელი, მიწა-წყალი საკმაო და სიმდიდრის მომცემი; მაგრამ ხალხი კი ღარიბი, უმეცარი, ცხოვრება გაუწყობელი, შეუსაბამო ამ მდიდარ ბუნებისა და ქვეყნისა; დაგხვდებათ ადამიანის მეურნეობა, ათას გვარი ცრუ-მორწმუნოება....

ბევრი რამ სხვაც ისეთი დაგხვდებათ, რომელსაც მალამო, განკურნება, გასწორება და დახმარება ეჭირება.

უველაფერს ამას, რასაკვირველია, თქვენ ვერ განკურნებთ, ყველა მავნე ძალებს ვერ დასძლევთ, თქვენ ვერ მოსპობთ. მაგრამ კარგ და გონიერ სოფლის მასწავლებელს ბევრი რამ შეუძლიან სოფელში.

ჩვენს სოფელში თითქმის მარტო ერთი მასწავლებელი და სოფლის მღვდელია ისეთი პირი, რომელსაც ქვეყნიერობის რამე ესმის და გაეგება; მარტო მასწავლებელია, რომელსაც შეუძლიან მიმართოს ხალხმა ყოველთვის გაჭირების დროს და მარტო იმას შეუძლიან რჩევა მისცეს, გზა გაუკვალოს ამ ხალხს.

თუ ისინი ძმის მოყვარე არიან თუ იმათ ხალხის კეთილდღეობისათვის შესტკივათ გული და თუ ამასთან მცოდნე, პატიოსანი და კეთილ-გონიერი არიან, თუ იმათ თავის მაგალითით და ცხოვრებით მოახერხეს ხალხის ნდობის, რწმუნების დამსახურება, უეჭველია, რომ იმათ უანგარიშო სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ ხალხისათვის.

უოველი რიგიანი მასწავლებელი ამას უნდა ცდილობდეს. უნდა ცდილობდეს, თავის პატიოსნებით და სამაგალითო ცხოვრებით მიაღწიოს იქამდინ, რომ ხალხი უჯერებდეს იმას, იმის სიტყვას და რჩევას ერწმუნებოდეს.

თუ ამ გვარი აზრით არ მიდის მასწავლებელი სოფელში, თუ ის ჰფიქრობს, რომ ჩემი მოვალეობა მარტო ის არისო, რომ როგორმე ანა-ბანა ვასწავლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში სოფლის ბიჭებსაო, თუ ასე ჰფიქრობს, ჩვენ ურჩევთ, სულაც ნუ წავა სოფელში; სოფელი ამ შემთხვევაში იმისთვის არავითარ ინტერესს და ძიმზიდველობას არ წარმოადგენს, ამ გვარს პირს ურჩევთ—რომელსამე კანცელარიაში შევიდეს მწერლად...

არიან ჩვენში იმისთანა ყმაწვილ-კაცები (განათლებულებშიაც კი), რომელნიც ამტკიცებენ, რომ განათლებულ კაცს არ შეუძლიან სოფელში გაძლება, წიგნებს ვერ იშოვნის იქ საკითხავს, ჟურნალ-გაზეთებსაო, ტოლ-ამხანაგი არ გეყოლება, რომ შენი ფიქრი და დარდი გაუზიაროვო, სულ გაუთლელ გლეხთან ცხოვრება შენც გაგაველურებსო და სხვ. და სხვ.

რასაკვირველია, ქალაქში ცხოვრება ერთი-ათად სჯობიან იმისთვის, ვისაც ულუბოდ, უთეატროთ გაძლება არ შეუძლიან, ვისაც უბრალო პოლიტიკური ახალი ამბის შეტყობა ლუკმა-პურს ურჩევნია და სხვა. რასაკვირველია, ბევრი სხვა მხრითაც უკეთესია ქალაქში ცხოვრება, ვინემ სოფელში.

მაგრამ მასწავლებელი, რომელიც მხოლოთ თავის პიროვნულ, ეგოისტურ სიამოვნებას არ მისდევს და რომელსაც ნამდვილის გულით ჰსურს ხალხს რამე სიკეთე და სარგებლობა მოუტანოს, ამისთანა მასწავლებელი არასოდეს არ დაიზარებს სოფელში წასვლას და ცხოვრებას; არ დაიზარებს აჰიტომ, რომ ჩვენი ნამდვილი ძალი, ნამდვილი სიმდიდრე და მომავალი სოფელშია და არა ქალაქში; არ დაიზარებს კიდევ იმიტომ, რომ სოფლის ხალხს უფრო ეჭირება ამ ჟამად ჩვენში ყოველმხრივი დახმარება, გზის ჩვენება და ხელის-მომართვა, ვინემ ქალაქს, რომელსაც უიმისოთაც საკმაოთა ჰყავს განათლებული კაცები.

ეს ორიოდე სიტყვა უნდა მეთქვა თქვენთვის, გორის სამასწავლებლო სემინარიის შაგირდებისათვის, რომელნიც დღეს ათავებთ სწავლას და გამოდიხართ ცხოვრების ასპარეზზე იმ წმინდა მიზნით, რომ ახლა სხვებს ასწავლოთ.

უკანასკნელი ჩემი სიტყვა და ნატვრა ის იქნება, რომ თქვენ რიგიანათ აგესრულებინოსთ ღვთიური მოვალეობა, რომელიც თქვენ გიკისრნიათ, რომ თქვენ ყოფილიყოთ ნამდვილი სოფლის მასწავლებელი, და ცხოვრების ტალღას არ დაეჩაგროთ ისე, როგორც მრავალნი ჩვენი ახალგაზდათაგანი დასჩაგრა.. ამ უკანასკნელი სიტყვით მოგილოცავთ კურსის შესრულებასა და ძმურად დაგილოცავთ ახალს გზას, რომელზედაც დამდგარხართ..

ს. მ.

## დღიური

** დიდის სიამოვნებით ვასწორებთ ერთს შეცდომილებას, რომელიც მოგვივიდა გაზეთში ჩვენი ქუთაისელი კორრესპონდენტის სიტყვით:

საქმე იმაშია, რომ ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ ქუთაისის თავად-აზნაურთა საზოგადო კრებამ გადაწყვიტაო იშუამდგომლოს უმაღლესს მთავრობასთანაო, რომ მომრიგებელ შუამავლები (მიროვოი პოსრედნიკების) ამორჩევის უფლება ჩვენ მოგვენიჭოსო.

ეს ამბავი ჩვენდა სასიხარულოდ, ტყუილი გამოდგა: ქუთაისიდამ გვწერენ ახლა, რომ ამ საგნის თაობაზე, მართალია, მოლაპარაკება იყოვო, რამდენიმემა პირმა წარმოსთქვა ვითხოვოთო, რომ მომრიგებელ მოსამართლეებისა და შუამავლების ამორჩევა ჩვენ მოგვანიჭოს მთავრობამაო, მაგრამ გარდაწყვეტით არ გარდაუწყვეტიათო და ამის თაობაზე პროტოკოლიც არ არის შედგენილიო.

ამ შესწორების შემდეგ, ახლა ჩვენ უკან მიგვაქვს ის ორიოდე მკვახე სიტყვა, რომელიც წარმოთქმული იყო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობაზე გუშინდელის „დროების" წინა სტატიაში..

** კახეთიდამ და ქართლიდამაც ძალიან სანუგეშო ამბები მოგვდის წლევანდელ მოსავლის პირზედ. წვიმები საკმაოთ იყოვო, სიღნაღის უეზდის რამდენსამე სოფელს გარდა, ჯერ კალია კახეთისაკენ არ გამოჩენილაო და სეტყვამ მხოლოთ თელავის უეზდის ორი სოფლის ვენახები გააფუჭაო. ქართლისაკენ ამ უკანასკნელს დროს ზენა-ქარი ჰქრის თურმე და ეს ძალიან ხელს უწყობს ხორბლის მარცვლების გაზრდას და გამსხვილებას.

ახალციხის მაზრიდამ იწერებიან „თფ. მოამბეში", რომ წლის აქეთაც ძალიან უხვ მოსავალს მოველითო, რადგან კარგი ამინდები დგას ნამუშევრისთვისაო.

** თფილისში სდგება „ქართული დრამატიული საზოგადოება", რომლის მიზანი იქნება, რომ მატერიალური საშუალებით, სპეკტაკლების გამართვით, დრამატიული თხზულებების გამოცემით და სხვა ამგვარი ღონისძიებით ხელი მოუმართოს ქართულ სცენას.

წესდება ამ საზოგადოებისა უკვე დაწერილია და იმის წარდგენა უმაღლესს მთავრობასთან და შუამდგომლობა დამტკიცების თაობაზე მინდობილი აქვს: თ.თ. დ. ერისთავს, დ. ავალიშვილსა და ა. ჩოლოყაშვილს.

იმედი აქვსთ, რომ ეს საზოგადოება, რომლის მიზანი, რასაკვირველია, ძლიერ კარგი და საქებია, ამ შემოდგომისათვის დამტკიცებული იქნება მთავრობისაგან და მოქმედებას დაიწყობს მოქმედებას.

** „თფილისის მოამბეში" იწერებიან აბასთუმნიდამ, რომ წელს აქაურ წყლებზე ძალიან ბევრი ხალხი მოვიდაო და ამის გამო სახლების ფასმა ჩვეულებრივზე თითქმის ერთი-ორად აიწიაო, მაგრამ ახლა კერძო პირებიც და ხაზინაც რამდენიმე სახლებს აშენებენო.

ამავე გაზეთის სიტყვით, აბასტუმნიდამ აჭარაში გზას აკეთებენ (ზოძერის ხეობაზე) და ეს გზა, უეჭველია, აჭარის ხალხს შემოგვიჩვევს.

** სია იმ საგნებისა, რომელნიც უნდა განიხილოს თფილისის ქალაქის რჩევამ ხვალინდელს (4 ივნისის) სხდომაზე:

1). მოხსენება კამისიისა და კანტრაქტის პროექტი ინჟინერებთან ზამიატნინთან, პაპოვთან და შპანსკისთან ქალაქის პლანის აღებისა და წყლის გაყვანის თაობაზე;

2). მოხსენება კომისიისა პირუტყვის საკლავ ადგილის შესახებ;

3) მოხსენება გამგეობისა ბირჟის იზვოშჩიკების ახალ ტაქსაზედ;

4) განცხადება უფ. დ. ი. ყიფიანისა ხმოვანობის თანამდებობიდამ განთავისუფლებაზედ;

5) ამორჩევა გამგეობის ერთის (მესამის) წევრისა, დამფასებლებისა და რეალურ სასწავლებლის მზრუნველობისა;

6) აზრი გამგეობისა ქალაქის სასაფლაოებისათვის ადგილის ამორჩევაზედ;

7) განცხადება ნატალია შიოევის ანდერძის აღმასრულებლებისა ამ ანდერძის შესახებ და სხვა.

---

## წერილი რედაქტორთან

შვალო რედაქტორო!

„დროების" ამ მეორე ნომერში დაბეჭდილია გიორგი წერეთლის ხელმოწერილი ჩვენება იმ ხუთასი მანეთის შესახებ, რომელიც ვითომც დავით ბაქრაძეს ფალავებისათვის უგზავნოს მათდა მოსაქრთამებლად, რადგანაც გ. წერეთლის გამოგზავნილს ნაწერში შეცდომა და ნაკლულევანება დავინახეთ და თვითონაც მოითხოვს მისი ნაწერის შესწორებას, ამისათვის გთხოვთ, ეს ჩვენი ნაწერი ამბავის გამოკვლევა დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში.

ის ხმა, ვითომც დავით ბაქრაძეს თავადთ ფალავებისათვის ხუთასი მანეთი გაეგზავნოს მათ მოსასყიდლად, გავრცელდა კლუბის ზალაში და მის სასადილო ოთახში და აივნებზედ მაშინ, როცა ბანკის საზოგადოების კრებას ყოველივე მზადება სხვა-და-სხვა კითხვებზედ ცალკე თუ ავად გათავებული ჰქონდა და ბანკის თავმჯდომარის ამორჩევას უნდა შესდგომოდა, — გავრცელდა იმ დღეს დილით, როცა ზედამხედველი კომიტეტი ამორჩევისათვის საჭიროს საზოგადოების წევრთა სიას ასწორებდა და [illegible] არჩევანიც უნდა დაეწყოთ.

ზოგს ეს ამბავი ძალიან ეწყინა და მოისურვეს ამ ამბავის გამოკვლევა. სხვა მრავალი მწუხარებას აცხადებდა, მაგრამ ამასთანავე ამბობდნენ გამოკვლევას დაითხოვეთო, თორემ ცუდი ამბავი მოხდება, იქნება სახელის [illegible] ატყდე-

სო. ამგვარი ერთი მეორის წინააღმდეგი რჩევა უფრო და უფრო გაძლიერდა თავსმჯდომარის გამორჩევის შემდეგ და განსაკუთრებით მეორე დღეს, როცა ზოგიერთმა განაცხადა, ფული ზედამხედველს კომიტეტს უნდათ წარუდგინონ ლარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოების გადასაცემადო. რამდენიმე თავის წრეებში გავლენის მქონე კაცი დადიოდა და აქა-იქ ლაპარაკობდა, რომ ამ საქმის გამოკვლევას თავი დაანებეთო, თორემ არ ივარგებსო და ზოგი ამბობდა, ეს ხმა ისეთია, რომ თუ არ გამოვიკვლიეთ არ შეიძლებაო.

მეორე დღეს თავსმჯდომარის გამორჩევის შემდეგ, დილით ათ საათზედ, კრების სხდომამდის, თ. მელქისედეკ ფალავა, კანდიდატი დირექტორობაზედ, შეხვდა დავ. მიქელაძეს და ზ. წერეთელს და ლაპარაკში სხვათა შორის უთხრა მათ, რომ ფალავებს ფული მიუღიათ და უნდათ ეს ამბავი კრებას განუცხადონ და ფული ქალების სასწავლებელს შესწირონო.

დავ. მიქელაძე: ვის მიუტანია ფული?

მელქ. ფალავა: არ ვიცი.

— რა დასამალავია, ხმა დაჰყვირიათ, რომ დიმიტრი ერისთავმა და პრისტავმა ბაქრაძემ მოგიტანათ ფული, რატომღაც არ ასახელებთ მათ?

— დიახ, იმათ მიუტანიათ.

სანამ ეს ლაპარაკი მოხდებოდა, მანემდის მოვიდა კლუბში დავ. ბაქრაძე და სთხოვა იქ გიორგი წერეთელს და სხვებს, რომ საქმე როგორმე გამოვიკვლიოთო, თორემ უყურადღებოთ დატოვება არ ივარგებსო. მას უპასუხეს, რომ საჭიროა სწორედ ეს საქმე აიხსნესო, რადგანაც ამას საზოგადოებისათვის მნიშვნელობა აქვსო. დავ. ბაქრაძემ სთქვა, რომ ეხლა სამსაჯულოში მივეჩქარებიო და როდესაც ფალავები მოვლენ და სხვები, ვინც ამ ცუდი ხმის გავრცელებას რაიმე მხრით შეეხება, შემატყობინეთ და მეც მოვალ გამოკვლევაზედ დასასწრებლადო. ერთის საათის შემდეგ იხმეს დ. ბაქრაძე, რომელიც ცოტა-ხანს შემდეგ მოვიდა კლუბის სასადილო ოთახში, სადაც მრავალნი იყვნენ და სხვათა შორის თ. მელქისედეკ ფალავაც და უთხრა ამ უკანასკნელს:

— გთხოვთ უმორჩილესად სთქვათ, მართალია, თუ არა, ის სამწუხარო ხმა, რომელიც ამ დღეებში გავრცელდა, ვითომც ფალავებს უთქვამსთ, დ. ბაქრაძისაგან ფული მივიღეთო?

— მართალია, [illegible], ვითომც თქვენ მაგიერ თ. ბახვა ფალავასთვის მიეტანოსთ ფული დიმიტრი ერისთავს და ბესარიონ ბაქრაძეს და ეს ფული ეხლა ზედამხედველს კომიტეტს უნდათ რომ წარუდგინონ.

ამის შემდეგ, საქმის გამოკვლევის მსურველებმა მოახდინეს კერძო ყრილობა ერთს კლუბის ოთახში, რომელიც პ. წულუკიძეს უჭირავს. ამ კრებაზედ დაესწრნენ: ჯენერალ-მაიორი სპირიდონ მაჭავარიანი, თ. მამია გურიელი, თ. დავით მიქელაძე, ივანე მეუნარ-

გია, დავით ლორთქიფანიძე, თ. დათა ბიგოს ძე წულუკიძე, თ. პეტრე წულუკიძე, თ. ერმალოზ გელოვანი, თ. პავლე თუმანიშვილი, თ. დიმიტრი დადიანი, თ. ლასა ლორთქიფანიძე, ალექსი ჭიჭინაძე, დავით აბდუშელიშვილი, გიორგი წერეთელი, დავით ბაქრაძე, თ. იასონ გელოვანი, თ. ბახვა ფალავა, თ. მიხაილ (იგივე ტურია) ფალავა, თ. მელქისედეკ ფალავა და სხვები.

ჯერ მოიწვიეს თ. ბახვა ფალავა.

სპირიდონ მაჭავარიანი: მართალია, თუ არა, ვითომც ხუთასი მანეთი მოეტანოსთ თქვენთვის?

ბ. ფალავა: რას ბრძანებთ! ეს ჩემი სული წაწყმდეს, მე თუ ან მოტანილი ფული მენახოს, ან იმისი მომტანი, არც ის ვიცი, ვინ მოიტანა და არც ის ვიცი, ვინ მიიღო.

—მაშ ის ფული რა არის, თქვენ რომ შეგიწირავთ ქალების სასწავლებლისათვის?

—ის ფული, ბატონო, ჩვენი იყო, ჩვენ ჩამოვკრიფეთ ერთათ შეხვით, და შევსწირეთ ქალების სასწავლებელს.

დავ. მიქელაძე (მელქისედეკ ფალავას): მაშ თქვენ რა სთქვით, ფული დიმიტრი ერისთავს მიუტანიაო?

—მელქ. ფალავა: მე არ ვიცი, ვინ მიუტანა, მე ეგ არ მითქვამს, მე ვთქვი, ამბობენ მეთქი.

აქ ერთმა კრებაში დამსწრემ ჰკითხა მელქ. ფალავას: თქვენ არა სთქვით, ფული ბახვა ფალავამ მიიღო დიმიტრი ერისთავისა და პრისტავის ბაქრაძის ხელით?

მელქ. ფალავა (ბახვა ფალავას): სთქვით, როგორ იყო საქმე?

ბახვა ფალავა: არა, მე არა ვიცი რა, გუშინდლამდის არ გამიგონია ეს ამბავი. მე არ ვიცი, ვინ მოიტანა და არც ის ვიცი, ვინ შეკრიბა.

დავ. აბდუშელიშვილი: მაგას თქვენ არ გკითხვენ, თქვენ ეს ბრძანეთ, ფული მოგივიდათ თუ არა?

ბ. ფალავა: არ ვიცი, ბატონო.

დავ. ლორთქიფანიძე: მელქისედეკ ფალავამ მითხრა, დიმიტრი ერისთავს მიუტანიაო.

დათა წულუკიძე: მეც მოწამე ვარ, რომ სთქვა, დიმიტრი ერისთავმა მიუტანაო.

დავ. ლორთქიფანიძე (მელქ. ფალავას): თქვენ ეს ბრძანეთ, ფული მოიტანეს, თუ არა?

მელქ. ფალავა: მოიტანეს.

— როდის?

— ამორჩევის წინა ღამეს.

— თქვენ თითონ ნახეთ?

— არა, მითხრეს და დარწმუნებული ვარ.

— ვინ გითხრათ?

— ბატონმა მიხაილ ფალავამ.

სთხოვეს მელქისედეკ ფალავას მიხაილ და ბ ტუ ფალავების მოწვევა. შემოვიდა მიხაილ ფალავა.

დავ. ლორთქიფანიძე: სთქვით, ვინ მოგიტანათ ფული?

მ. ხ. ფალავა: არ ვიცი.

— ნუ მალავთ, მართალი სთქვით.

— (დაფიქრების შემდეგ). მართალი რომ ვსთქვა, არ იქნება კარგი და სჯობია არ მათქმევინოთ.

— სთქვი, უსათუოდ უნდა სთქვათ.

— მაშ რომ ისე იყო, როგორც ამბობს მელქისედეკ.

— როგორ?

— პრისტავმა ბაქრაძემ მოიტანა კენჭის ყრის წინა ღამეს.

— მოლაპარაკება რამე გქონდათ წინეთ დავ. ბაქრაძესთან და ან პრისტავ ბაქრაძესთან, თუ არა?

— არა.

— იცნობდით დავ. ბაქრაძეს და ან პრისტავ ბაქრაძეს, თუ არა?

— არც ერთს არ ვიცნობდი. დავ. ბაქრაძე მხოლოდ მაშინ შევნიშნე, როცა ერთხელ კრებაში ორიოდე სიტყვა სთქვა და მითხრეს ეს არის თავსმჯდომარეობაზედ ერთი კანდიდატთაგანიო, და პრისტავმა მხოლოდ თავის წითელი წვერით მიიქცია ჩემი ყურადღება, როცა მან კონვერტით ფული მომიტანა, და მერმე სხდომაში რომ დავინახე, ვკითხე და მითხრეს, ეს პრისტავი ბესარიონ ბაქრაძე არისო.

— აბა უცნობმა კაცმა უცნობის კაცის ხელით როგორ გამოგიგზავნათ ფული? დაგიწეროთ ვინმე ფულის მიღებაზედ?

— არა, მაგრამ როცა კონვერტით ფული მივიღე და გავხსენი, მაშინვე ბიბის და მურძაყან ფალავებს ვაჩვენე და დავათვალიერებინე, რომ მერმე მეტის მიღება ჩემთვის არავის შეეწამებია.

— კონვერტში წიგნი იყო, თუ არა?

— არც წიგნი ყოფილა და არც კონვერტზედ რამე წერებულა.

მოიხმეს ბიბი და მურძაყან ფალავები, ჯერ მელქისედეკ ფალავას მოაცქერობით, მერმე პეტრე წულუკიძე გაუგზავნეს, მაგრამ არ მოვიდნენ.

ამ დროს მოუპატიჟებლად შემოვიდა თ. მელიტონ დადიანი და გაჯავრებით სთქვა: ამ საქმეს ნუ გამოსდგომიხართ კვალში, თორემ სწორედ ცუდი საქმე მოხდება, სწორედ სისხლი დაიღვრება ფარის გულისათვის. ამისთანა პატარა საქმეს ყოველთვის ხშირად იგონებენ პარტიები ერთი მეორის შესარცხვენად, დაეთხოვეთ ღვთის გულისათვის!

ამის შემდეგ დავ. ბაქრაძემ სთხოვა თავადთ ფალავებს, ერთი-ორი დღე მოეცადათ ქუთაისში, სანამ ზაქარია ზურაბოვისაგან სოფელში წაყვანილი პრისტავი ბაქრაძე დაბრუნდებოდა ქუთაისს, რომ იმასთან პირში წაყენებით საქმე უფრო გამოკვლეულიყო; მაგრამ ფალავებმა უთხრეს, ჩვენ უთუოდ დღეს საღამოს უნდა წავიდეთ და საქმე ამაზედ შესდგა.

დ. მიქელაძე
პ. ლორთქიფანიძე
ა. ჭიჭინაძე
დიმ. დადიანი
სპ. მაჭავარიანი
პ. თუმანიშვილი
დ. აბდუშელიშვილი
ლასა ლორთქიფანიძე
პოტე მესხი.

დავით ლორთქიფანიძე. (ნამდვილად არ მახსოვს, რომ ფალავას ეთქვას, რომ სრულიად არ ვიცნობდით ბესარიონ ბაქრაძეს).
კირ. ლორთქიფანიძე.
პ. წულუკიძე
ე. გელოვანი (ნამდვილად არ მახსოვს სთქვა თუ არა მიხაილ ფალავამ დავით ბაქრაძეს არ ვიცნობდით).

P. S. ზემორე აღწერილს მე უნდა დავსძინო შემდეგი: ის ხმა, ვითომც თ. ბახვა ფალავას დავ. ბაქრაძისაგან გაგზავნილი ხუთასი მანეთი მიეღოს, ისმოდა აქეთ ოთხ-ხუთის დღით წინ კენჭის ყრამდისაც. ჯერ ამბობდენ, ფულები ფალავებს დიმიტრი ბაქრაძის ხელით მიუვიდათო; მერმე ფულის მიმტანად დაასახელეს თ. დიმიტრი ერისთავი და პრისტავი ბეს. ბაქრაძე; შემდეგ კერძო კრებაზედ გამოკითხვის დროს სთქვეს, რომ მარტო პრისტავმა ბაქრაძემ მიუტანაო თ. მიხაილ (ტურია) ფალავას კენჭის ყრის წინაღამეს; ახლა იქით დაყარეს ხმა, რომ ფულები ფალავებს თვითონ დავ. ბაქრაძემ მიუტანაო და ახლა ისმის, ვითომც ის ფულები ფალავებისათვის ერთს ყმაწვილ კაცთაგანს მიეტანოს, რომელიც ფალავებს ეკრძალებათ და იმიტომ არ ასახელებენო. — ამას გარდა, სანამ ხუთასი მანეთი „ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოებას“ გადაეცემოდა, მანამდის, გუბერნიის აზნაურობის წინამძღოლის თ. ნესტორ წერეთლის სახლში, საღამოზედ, თ. მელიტონ დადიანს, როგორც ნამდვილად შევიტყე, ამბავად უთქვამს, რომ ფალავებმა ის ფულები მიმტანს დაუბრუნესო და ამ ამბავს ძალიან გაუჯავრებია რამდენიმე იქ დამსწრე კაცები.

კირ. ლორთქიფანიძე.


# განცხადებანი

## ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქ ქუთაისის გამგეობამ მიიღო რა მხედველობაში, რომ უმრავლეს მამულების ფასება, რომლის ძალითაც ამ მამულებზედ ქალაქის სასარგებლოთ გარდასახადი დღესაც აწარმოებს 1877 წ. სამ მაისიდამ, თავის დროზედ არ იყო საყოველთაოთ გამოცხადებული, საჭიროდ დაინახა, ხსენებული მამულების მეპატრონეთა აცნობოს, რომ თანახმად 12 მაისის და 8 ივნისის 1876 წ. ქალაქის დუმის გარდაწყვეტილებათა:

1). უძრავ მამულებზედ ქალაქის სასარგებლოთ გარდასახადი დაწესებულია წმინდა შემოსავლიდამ 10%;

2). ეს გარდასახადი შემოტანილი უნდა იქნეს ყოველი წლის 1 მაისისათვის და

3). ამ დროისათვის შეუმოტანელი გარდასახადი, შემდეგ უნდა იქნეს გარდახდევინებული, ვადას გარდაცილებული ყოველი თვისათვის $\frac{3}{4}$% ჯარიმით.

(1—1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კვირას, 3 ივნისს**

არწრუნის ახლად აშენებულ თეატრში წარმოდგენილი იქნება

**„ყვავი ფარშევანგის ფრთებით“**

ვოდევილი ერთს მოქმედებად გადმოკეთებული ვ. აბაშიძისაგან.

2.

**ძალად ექიმი**

კომედია 2-ს მოქმედებად, ვად. თ. ვ. ერისთავისაგან

3.

**ცოლი თუ გინდათ ეს არი!!**

ვოდევილი ერთ მოქმედებად თხზ. ვ. აბაშიძისა.

ბილეთები ისყიდება რაინოვის ფოტოგრაფიაში და თეატრის კასსირთან.

(2—2)

---

ტიტულიარნის სოვეტნიკი ეფრემ ზადეიჩი **კოზიევი** აუწყებს საყოველთაოდ საცნობლად, რომ თანახმად ახალი წესისა დაწესებულ უმაღლესის მთავრობისა, მივიღე თფილისის ოკრუჟნის სუდიდან მოწმობა პოვერნიობისა, რომლითაც ნება მაქვს საქმეების წარმოებისა სუდებში.

ამისათვის მსურველთ შეუძლიანთ მომანდონ როგორც სხვა და სხვა საქმეები სუდში საწარმოებლად, აგრეთვე დავებისა, რომლებიც აღმოჩნდენ გამიჯვნის დროს.

ამასთანვე ვიღებ უგოლოვნის (სისხლის სამართლის) საქმეებსაც, როგორც ვექილი და გამოცდილი ჩინოვნიკი მყოფი სეკრეტრის თანამდებობაში მეოთხე ნაწილისა თფილისის ოკრუჟნის სუდში ვიდრე რვა წლამდე.

**ბინა** მექნება ყაფლანიანთ ქუჩაში, იაგორ დემუროვის სახლში, და ხშირად ვიმყოფები შემდეგ ამისა ქ. დუშეთში.

**ეფრემ კოზიევი**

(7—1)

---

**ისყიდება** 1800 მანეთათ პატარა **სახლი თავის ადგილის მიწითა** ქ. თფილისში, კუკიაში 9 უჩასტკაში, ალექსანდროვსკის ქუჩაზე № 21,—რა პირობებითაც შეიძლება იქვე შეიტყოს მსურველმა პატრონის სოფიო ელიაზოვისაგან.

(3—3)

---

ამ მაისის 15-დგან გაღებული იქნება **ქვა-მარილის მაღაზია ქ. გორში და ხაშურში.** გორში—გიორგი რომანოვთან და ხაშურში—ცუცუნია არუწოვთან.

გორში და ხაშურშიაც ქვა-მარილი ყოველთვის იმ ფასად გაისყიდება, რა ფასადაც თფილისში ისყიდება.

გრიგოლ ბარამოვი და გიორგი რომანოვი.

(15—13)

---

# ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

**ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის სამმართველო** აცხადებს, რომ, ბანკის წესდების მე-18 § ძალით, მიმდინარე წლის 27 ივნისისათვის ქ. ქუთაისს, ბანკის სადგომში, საზოგადო ვაჭრობით გასასყიდლად დანიშნულ-არიან უძრავნი ქონებანი ქვემო მოხსენებულთა პირთა:

| გვარი, სახელი და მამის სახელი მეპატრონისა. | რა გვარი მამულია. | სად მდებარეობს მამული. | სესხის ვადა. | ჯამი თავნის და მოუტანელ გადასახადითურთ. მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| **ჩარკვიანი**, ანდრია დავითის ძე, აზ-რი. | ერთ სართულიანი ხის სახლი, 225 ოთხ-კუთხ-საჟენიანი ეზოთი. | ქ. ქუთაისს, თფილისის ქუჩაზედ. | 3 წელ. | 203 | 59 |
| **ხელთუფლიშვილი**, ბესარიონ ანდრიას ძე, კოლლეჟსკის ასესორი. | თორმეტი ერთ სართულიანი ქვითკირის დუქნები, 168 ოთხ-კუთხ-საჟენიანი მიწით. | ქ. ქუთაისს, ბაზრის ქუჩაზედ. | 3 | 3239 | 70 |
| **აგიევ.** | ოთხი ერთ-სართ. ხის დუქნები, 442 ოთხ-კ.-საჟ. ეზოთი. | ქ. ქუთ. ოურპირის და ლაზარეთ. ქუჩა | $18^{7}_{21}$ | 1837 | 10 |
| **კანდელაკისა**, ეკატერინა ანდრ. ასული, აზ-რი. | ორი სახლი, რომელთაგანი ერთი ორ სართულიანი ხისა და მეორე ერთ სართულიანი ქვითკირისა, 192 ოთხ-კუთხ-საჟენიანი ეზოთი. | ქ. ქუთაის, ალექსანდროვის ქუჩაზედ. | $18^{7}_{12}$ | 2993 | 69 |
| **გურიელისა**, ელეონორა მიხაილის ასული, კნეინა. | ქვითკირის ერთ სართულიანი სახლი 1,230 ოთხ-კუთხ-საჟენ. ეზოთი. | ქ. ქუთაისს, ბალახვანის ქუჩაზედ. | $18^{7}_{12}$ | 5094 | 98 |
| **ზედგინიძე**, ივანე იოსების ძე, ნადვორნი სოვეტნიკი. | ქვითკირის ორ სართულიანი სახლი 300 ოთხ-კუთხ-საჟენიანი ეზოთი. | ქ. ქუთაისს, მიხაილოვის ქუჩაზედ. | $18^{7}_{12}$ | 12630 | 96 |
| **ხელთუფლიშვილი**, ბესარიონ ანდრიას ძე, კოლლეჟსკის ასესორი. | ერთი ნაკვეთი მიწა, ზომით 36 დესიატინა და 360 კვად. საჟენი. | ბანოჯის აგარაკში ქუთაისის უეზდისა. | $43^{1}_{2}$ | 1253 | 33 |
| **ჩხეიძისა**, მელანია ქაიხოსროს ასული, აზ-რი. | ხეხილ-ვენახიანი ბაღი, სამოსახლო და სახნავ-სათესი, 26 დესიატინა და 1500 კვად. საჟენი | შორაპნის უეზდის სოფელს ლახუნდარას. | $43^{1}_{2}$ | 4123 | 49 |
| **ქაჯაია**, გიორგი ტარიელის ძე, აზ-რი. | დაბლარი ვენახი, სახნავ-სათესი და ტყე, 7 დესიატინა და 800 კვ. საჟ. | ქუთ. უეზდის სოფ. ჭაგანს. | $43^{1}_{2}$ | 943 | 74 |
| **ჩიქოვანი**, სისო მანუჩარის ძე, თა-დი. | სამოსახლო, ზვარი და სახნავ-სათესი, 151 დესიატ. | ლეჩხუმის უეზდის სოფ. ლასურშ. | $43^{1}_{2}$ | 1432 | 36 |
| **ნიკაბაძე**, ილაია ვასილის ძე, გლეხი. | ერთ ნაკვეთი მიწა, ორი დესიატ. და 300 კვად. საჟ. | შორაპნის უეზდის სოფ. არგვეთს | $43^{1}_{2}$ | 427 | 78 |

(3—2)

---

თფილისში, უფ. ზ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში **ისყიდება**

**თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანის**

# ნაწერი

და

**ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ორბელიანისა**

ფასი წიგნისა ათი შაური.

---

**გამოვიდა და ისყიდება**

# „ბუტიაობა“

ვოდევილი

**აკაკი წერეთლისა**

**ისყიდება**: ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის გაზეთის საგენტოში—ბულვარზე.

**ფასი—ერთი აბაზი.**

---

*Дозволено цензурою. Тифлисъ 2 юня 1879 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.